ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1636208

ნომერი: AR1268625

თარიღი : 26.11.2014

გაცემის თარიღი : 10.12.2014

გაცნობის თარიღი : 22.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წამებულის N91 ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო გეთიაშვილი პ/ნ 01024039763
- თბილისი ად.მიცკევიჩის ქ. N 3 ბ. 1

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1263715 განაცხადი, რომლითაც ითხოვთ წამებულის ქ. #91ა–ში მდებარე მიწის ნაკვეთზე წარმოების დაწყების შემთხვევაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვის შესახებ.

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ 2013 წლის 26 ივლისის #813802 ბრძანებით და სანებართვო მოწმობით შეთანხმებულია და გაცემულია დემონტაჟის ნებართვა ქ. თბილისში, წამებულის ქ. #91ა–ში, შპს "თბილისი 94"–ის

კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული #1/1; #2/1 და #4/1 შენობისათვის. ხოლო სამსახურის მიერ 2014 წლის 12 მარტის №1165534 ბრძანებით შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა საწარმოო-სასაწყობო შენობის მშენებლობისათვის.

ამ ეტაპზე აღნიშნულ ობიექტთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს. თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

ვინაიდან #813802 26.07.13წ. #1165534 12.03.14წ. ბრძანებები და თანდართული დოკუმენტაცია სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერმიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე, ამისათვის tas.ge-ზე უნდა აირჩიოთ ინტერაქტიული რუკა და ძიებაში მიუთითოთ თქვენს დაინტერესებაში მყოფი მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი ან/და სამსახურის პასუხის ძიებაში მიუთითოთ #AR1271585 AR1140193, AR1173037 განაცხადის ნომრები.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.